ცნობის ფურცელი

№ 2444 შაბათი, 20 მარტი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2444

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

რედაქციისაგან

ვისაც ჟურნალ-გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს 1 აპრილამდე უეჭველად გამოგზავნოს ხვედრი შემოსატანი, რომ გამოცემათა გზავნა არ მოესპოთ.

სამეურნეო ბანკის

წევრთა წლიური კრება დანიშნულია კვირას, 21 მარტს, დილის თერთმეტ სათზე ბანკისავე დარბაზში.

კრებას მოხსენდება შემდეგი საგნები:

1. რჩევის მოხსენება წლიური ანგარიშის შესახებ;
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება;
3. წლიური ანგარიში;
4. მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა;
5. კომისიის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების დაგირავების შესახებ;
6. გამგეობის წევრის არჩევანი თ. ვლ. სვ. მიქელაძის მაგიერ, რომელსაც ვადა გაუთავდა; არჩევანი რჩევის ორის წევრისა ი. გ. თულაშვილისა და ი. ბ. საგინაშვილის მაგიერ, რომელთაც აგრეთვე ვადა გაუთავდათ, არჩევა სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა. (ნ. 3—2)

ქართულ თეატრის დარბაზში, მარტის 25 დილის 10 საათზე დანიშნულია **ტფილისის სამარხი კასის წევრთა**

საზოგადო კრება

განსახილველად და დასამტკიცებლად წლიურის ანგარიშისა, ამოსარჩევად სამის სარევიზიო და ერთის გამგეობის წევრისა და მათ ნაცვლებისა.

რადგან პირველი კრება, დანიშნული 14 მარტს, წევრთა საჭირო რიცხვი დაუსწრებლობის გამო, არ შედგა ამიტომ ეს კრება წესდების ძალით კანონიერია რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, (4—2)

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ-გარეთის და ადგილობრივი **ისყიდება** ზომიერ ფასად

ფ. ავსარქისოვის

მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზა—მადგურის სკრა ფ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. (ნ 10—6)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სი ილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

. **ტ. მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის. —11 საათამდე.

ა. **მ. ქადალაშვილი.**—ბავშვებისა და შინაგ. 1(—11 საათ.

ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

რ. ფ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.— შინაგანი და ბავშვების—1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ქ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საშვილოსნო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ვ. ფ. ხოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. ბ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან თუმნამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის იდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(შ...) ტელეფონი № 274

ქუთაისში

კბილის ექიმი

მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთიშვილისა.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16 საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთიშვილისა.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123 (თვ.—0—38)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ბესარიონ ა. პოპოვი

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი (რეუტ. № 26). (30—6.—5)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 მარტი

სეული („რეიტ. სააგ.“). ამა დადის, რომ სამსახურიდან დათხოვნილმა 500 კორეელმა ჯარის-კაცმა აჯანყება მოახდინა პენიანის მახლობლადაო

19 მარტი

ბერლინი (სპეციალური). სეულიდან მოსულ ცნობების თანახმად, იაპონიის ჯარი მდინარე პაჩკენამდე მივიდა. იაპონის ქვეითა ჯარის 53 კაცს, რომელთაც მდინარიდან ჩრთილოეთისაკენ წაიწიეს, თავს დაეცნენ ყაზახები და დახოცეს. ინგლისელი კორესპონდენტები უკმაყოფილებას აცხადებენ იმის გამო, რომ იაპონიის ცენზურა მხოლოდ ჯარის უკან ყოფნის ნებას აძლევს. იაპონელებისადმი თანაგრძნობა თვალსაჩინოდ შესუსტდა ლონდონშიაც-კი.

ბერლინი (სპეციალური). იაპონიიდან მოსულ კერძო ცნობებით, მიკადო მთავარის შტაბით ამ მოკლე ხანში კორეის გაემგზავრება.

იაპონელთა ნავთ-სადგურს სასებოს თოფის წამლის საწყობის განყოფილებაში აფეთქება მოხდა. მიზეზი არ იციან. მოკლულია 4, დაჭრილია 5 კაცი.

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). სააგენტოს გაუგია, რუსების მიერ ნიუ-ჩუანში სამხედრო წესების გამოცხადებას არ მოელოდნენ და ყველანი გააკვირვაო. ასეთ მოქმედების შემდეგ რუსეთმა უნდა იკისროს ყველა ის ზარალი, რომელიც შეიძლება ნეიტრილურ სახელმწიფოებს მოუვიდეთ. საქმის ასეთი მდგომარეობა წააქეზებს იაპონიას, თავს დაეცეს ამ ქალაქს, რადგან რუსების ასეთ მოქმედების შემდეგ იაპონელებს შეუძლიათ არ მიაქციონ ყურადღება სხვა სახელმწიფოებს.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

19 მარტი.

ლონდონი. „დეილი მეილ“-ს ატყობინებენ კორეიდან: ძველ წყობილების მოტრფიალენი რუსების მხარეს არიან და აქეზებენ მცხოვრებთ შესწირონ ფული და ბრინჯი. ამასთან უცხო ქვეყნელთ და ქრისტიანებს ემუქრებიან, ამოგჟლეტავთო. იაპონელების უკან დახევას უსათუოდ თან მოჰყვება ძველ წეს-წყობილების მომხრეთა აჯანყება.

(დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

* * *

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. ფრანგულ გაზ. „ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელ კორესპონდენტს რუსეთის საზღვაო შტაბის ადმირალ როჟდესტვენსკისთან ულაპარაკნია. ადმირალს უთქვამს: ზოგი ჰფიქრობს, იაპონელების უკანასკნელი დაცემა პორტ-არტურზე და ყუმბარების სროლა უაზრო იყოო. ესეთი ფიქრი უსამართლოცაა და არც სწორეა. ამ დაცემის დროს, ალბად იაპონელებმა დიდძალი ჯარი გადაიყვანეს ცინამპოში. იაპონელებს სისტემატიურად 12 დღეში ერთხელ გადაჰყავთ ჯარი ხმელეთზე; პორტ-არტურსაც 12 დღეში ერთხელ დაუშენენ ხოლმე ზარბაზანს იმ აზრით, რომ რუსის ფლოტს ნავთ-სადგურიდან გამოსვლა დაუშალონ. პორტ-არტურზე თითო დაცემა და ზარბაზნის დაშენა იაპონელებს 500 ათასი ფრანკი უჯდებათო („ნ. ვ.“).

ლონდონიდან „ბირჟევი ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ: იაპონელებმა ქალ. პინიანი თავიანთ უმთავრეს სამოქმედო ბაზად გაიხადეს და გარს დიდი სანგრები აუშენესო. იაპონიის ჯარის მოწინავე რაზმები უნსანამდე მივიდნენ. უნსანი სამაზრო ქალაქია ჩრდილოეთ კორეიაში, ქალ ანჩჟუს ჩრდილოეთით. დიდი ბრძოლა მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა იაპონელები იალუზე გადასვლას მოინდომებენ. იალუს ორივ ნაპირი იჩჟუს ახლო რუსებს უჭირავთ.

გერმანულ გაზ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ის ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება: პორტ-არტურთან ბრძოლის დროს მოკლულ იაპონელებს სასებოში მოასვენებენ ხოლმე. 14 მარტს მოკლული კაპიტანი იამანაკო-კი ტოკიოში მოასვენეს და დიდებულად დაასაფლავეს.

იაპონიის დედოფალმა ბძანა, ჩემი ლეიბგვარდია დაითხოვეთო, ეხლა ყველა მეომარი ბრძოლის ველზე უნდა იყოს, ჩემთვის მცველ რაზმადაც იოლის წავალო („რ. ვ.“).

პორტ-არტურის ციხის კომენდანტს 8 თებერვალს შემდეგი ბძანება გაუცია: „წუხელის, ღამის 3 საათზე, ჩემს სახლსა და საინტენდანტო საწყობებს შუა ვიღაცა კაცი იდგა და ფარნით სიგნალებს აძლევდა იაპონიის ფლოტს; ეს კაცი ჩინელების უბნისკენ გაიქცა და ველარ დავიჭირეთ. გუშინაც 20 კაცი დაიჭირეს, ისინიც რაღაც სიგნალებს აძლევდნენ იაპონელებს. ვისაც კი ამნაირ საქმეზე მოვასწრობთ, ყველას სამხედრო სამართალში მივსცემ. დარაჯებს ნაბძანები აქვთ, რომ ამნაირ დაინახავენ, თუ არ დადგა და გაქცევა გაბედა, მაშინვე თოფი ესროლონ. ეს ბძანება ყველას გამოეცხადოს“.

რამდენისამე დღის შემდეგ კომენდანტს კიდევ გამოუცია ბრძანება და ხელ-ახლად გაუხსენებია. ვინც გაჰბედავს და ღამე იაპონელებს რაიმე სიგნალს მისცემს, სასტიკად დაისჯებაო. ეს ბძანება ჩინურსა, ინგლისურსა და რუსულ ენებზე დაუბეჭდიათ და პორტ-არტურის ქუჩებში ყველგან გაუკრავთ. („რ. ვ.“).

ჩინელები უფრო თანაგრძნობით ეკიდებიან იაპონელებს, ვიდრე კორეელები. ამიტომ მანჯურიაშია, პორტ-არტურსა და ვლადივოსტოკში იაპონელი სამხედრო ჯაშუშები უფრო ჩინელებში იმალებიან, ვიდრე კორეელებში. ჩინელები არაფრის გულისათვის არ გასცემენ ხოლმე იაპონელებს. („ნ. ვ.“).

გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის აზრი ეხლანდელ ომზე. ერთს რუსის მაღალ წარჩინებულ მოხელეს მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდალ გენერალ კუროპატკინთან ულაპარაკნია და მერე გენერლის ნალაპარაკევი „ფიგარო“-ს თანამშრომლისათვის უამბნია. რუსის ჯარის მთავარ-სარდალს უთქვამს: ეხლა შორეულ-აღმოსავლეთში ჩვენი ფლოტი რიცხვით ნაკლებია იაპონიისაზე; ამას გარდა იაპონელებს მშვენიერი დოკებიცა აქვთ და გემების შეკეთება მარდად შეუძლიათ. ეხლა ჩვენს ფლოტს იმის მეტი სხვა არა შეუძლიან-რა, რომ იაპონიის ფლოტი პორტ-არტურთანა და ვლადივასტოკთან დააბანდოს, მაგრამ ჩვენ ფლოტს მალე მიემატება სხვა გემები. მოვა დრო, როცა ჩვენი ფლოტიც დიდ დახმარებას გაუწევს რუსეთის ჯარს. მოვა დრო, როცა შორეულ-აღმოსავლეთის ზღვაში ჩვენ კიდევ 8 ჯავშნიანი გემი, 7 კრეისერი და 32 ნაღმიანი გემი გვეყოლება. მაშინ ჩვენი ფლოტიც სულ სხვანაირად დაიწყებს ლაპარაკს. მეც, ღვთით, იაპონელებს ხმელეთიდან გავნდევნი და ზღვისაკენ დავაწევინებ. იმ დროს ჩვენ ფლოტს ორნაირი საქმე ექნება. იაპონიის გაბნეული პოლკები სატრანსპორტო გემებით სამშობლოსაკენ გაემართებიან. ჩვენი ფლოტი დაეცემა ამ გემებს და ზღვაში ჩასძირავს. ამას გარდა, ჩვენი ფლოტი ჩვენ საკუთარ სატრანსპორტო გემებს გააცილებს და რუსის ჯარს სხვა-და-სხვა ადგილებში გადაიყვანს ხმელეთზე“.—„როგორ, განა იაპონიაში გალაშქრებასაც აპირობთ?“—შეეკითხა ერთი გენერალი —დიახ, იაპონიაშიაც გადავიყვანთ ჯარსა, იაპონიასაც დავეცემით. დაიხსომეთ ეს სიტყვა. იქნება ამაზე ევროპაც აღელდეს, ალაპარაკდეს, საქმეშიაც გაერიოს; თავისი ნებაა, როგორც ერჩიოს; ისე მოიქცეს, მაგრამ ჩვენ არაფერ ყურადღებას არ მივაქცევთ ევროპას. ზავის პირობას უსათუოდ ტოკიოში დავწერთ, სხვაგან არსად“. „ფიგარო“-ს კორესპონდენტის წერილს, სადაც ეს საუბარია გადაცემული, ქვეშ აწერია: მოსკოვი, 13 მარტი ახ. სტილით („ბ. ვ.“).

ფრანგ მეზღვაურის აზრი რუსის ფლოტის ტაქტიკაზე. ფრანგულ ჟურნალ „რევიუ“-ს უკანასკნელ წიგნში პოლ ფონტენი მკაცრად არჩევს რუსის ფლოტის ტაქტიკას. ავტორი სწერს: „27 იანვარს აქეთ, მას შემდეგ, რაც პორტ-არტურთანა და ჩემულპოსთან პირველი ბრძოლა მოხდა, რუსის ფლოტს სრულიპით არაფერი არ გაურიგებია, ერთ ადგილას უძრავად გაჩერებული იდგა. იაპონელებს კი ამ დროს თავისუფლად, არხეინად ჯარი გადმოჰყავნდათ კორეიაში. იაპონიის ფლოტს არც ისეთი დიდი ძალა ჰქონდა, რომ რუსის ფლოტს იმასთან ბრძოლა არ შესძლებოდა. იაპონიის რამდენისამე ნაღმიან გემის სიმამაცემ მთლად ხელ-ფეხი შეუკრა რუსის ფლოტს. თუმცა რუსეთს პორტ არტურთან თითქმის იმდენივე გემი ჰყავნდა, რამდენიც იაპონიას, რუსის ფლოტი მაინც უძრავად იდგა პორტ-არტურთან, თითქო წებოთია დაკრულიო და ციხის ბატარეებს არა შორდებოდა. ადმირალმა სტარკმა სრულიობით ვერა მოახერხა, ნაღმიან გემებით ერთი იერიშიც ვერ მიიტანა იაპონიის ფლოტზე, თუმცა ბრძოლის დროს ყოველმა ფლოტმა უსათუოდ ნაღმიანი გემებიც უნდა ამოქმედოს. თავის მოხსენებაში ადმირალმა ალექსეევმა თითქმის პირდაპირ დასწერა, ჩვენის ესკადრის საუკეთესო ნაწილი ბრძოლის დროს უსაქმოდ იდგაო. ადმირალი სწერდა: „ბრძოლაში პირველ და მეორე დივიზიის ნაღმიანმა გემებმაც მიიღეს მონაწილეობა... ბრძოლის გათავებამდე ეს გემები ესკადრის მარჯვენა მხარეს, 18—22 ვერსტის მანძილზე იდგნენ და მტრის მოახლოვებასა და ბრძანებას

ელოდნენ, რომ იერიში მიეტანათ მტერზე“. მაგრამ რუსის ნაღმიანი გემები ამ ბრძანებას ვერ ეღირსნენ. იაპონელებს, ეჭვი არაა, მეტად გაუკვირდათ, რომ ნაღმიანმა გემებმა ბრძოლის დროს იერიში არ მიიტანეს იმათ ესკადრაზე. ბოლოს იაპონელები წავიდნენ, მაგრამ რუსის ნაღმიანი გემები არც მაშინ დაედევნენ იაპონიის ესკადრას. აქ ხომ იაპონელებს გაკვირვების საზღვარი აღარ ექნებოდა. ცხადია, იაპონელმა ადმირალმა ერთის საათის შემდეგ იმ აზრით შესწყვიტა ბრძოლა, რომ თავისი ესკადრა მეორე დილამდე რუსის ნაღმიან გემებისათვის მოეშორებინა. მართლაც და პორტ-არტურში რუსებს ორი მშვენიერი დივიზია ჰყავდათ ნაღმიან გემებისა. რაც უნდა სწრაფად მოსიარულე კრეისერი იყოს, ნაღმიანი გემი მაინც ყოველთვის მოეწევა. ამიტომ რუსები უსათუოდ უნდა დასდევნებოდნენ იაპონიის ესკადრას და ღამე იერიში მიეტანათ. იაპონელებს 7 დიდი ჯავშნიანი გემი ჰყავდათ და რუსებს ადვილად შეეძლოთ ამ გემების დაზიანება.

რუსებს ვლადივასტოკშიაც მშვენიერი მსწრაფლ-მავალ ჯავშნიან კრეისერების ესკადრა ჰყავთ. ამ ესკადრამაც ვერა გაარიგა რა დღემდე. იაპონიის სატრანსპორტო გემები დღემდე თავისუფლად მიდი-მოდიან კორეიასა და იაპონიას შუა, კორეიაში დიდძალი ჯარი გადაჰყავთ და რუსის სამხედრო ფლოტს სულ არაფრად აგდებენ: დაავიწყდათ კიდეც, თუ რუსის ფლოტი არსებობს სადმე. მაგრამ რუსეთის ფლოტის ახალი უფროსი ადმირალი მაკაროვი სულ სხვა ტაქტიკას დაადგა და უფრო მხნედ მოქმედებს“. („პ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ 17 მარტს ყარსისა და ერევნის რკინის გზის გამყვანს ინჟინერს ვურცელს მთავარ-მართებლის სასახლეში წაუკითხნია მოხსენება **რკინის გზის გაყვანის შესახებ კავკასიონის მთებზე.** მოხსენების წაკითხვას დასწრებია მთავარ-მართებელი, იმისი თანაშემწე, გენერალი ი. ამილახვარი, სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი, ინჟინერები და სხვანი.

◆ ტფილისის გუბერნატორს გუშინ, 19 მარტს, დეპეშით აცნობა ბორჩალოს მაზრის უფროსმა, რომ გენერალ **ლისოვსკის მკვლელი** მარუტ აკოპოვი 18 მარტს შევიპყარით ალდანის საზამთრო ბინაზე. აკოფოვი ყაზახის მაზრის სოფ. ზემო ალდანის მცხოვრებია, წინად უმსახურია სადგურ ახტალაში (ყარსის გზა) და შენიშნული იყო, როგორც არს ნორმალური და ძლიერ ფიცხი კაციო.

◆ 22 მარტისათვის დანიშნულია **ოზურგეთის ქალაქის ახალ რწმუნებულთა არჩევანი.**

◆ ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა დაადგინა, გადასდოს 1903 წლის მოგებიდან 1000 მანეთი **ომის საჭიროებათა** დასაკმაყოფილებლად და 200 მან. ტფილისის ქართველ ქალთა სამკურნალო სკოლის სასარგებლოდ.

◆ ხვალ, 21 მარტისათვის, „ტფილისის სობრანიეს“ სადგომში დანიშნულია კრება ტფილისის **საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა,** რომელმაც უნდა განიხილოს შარშანდელი ანგარიში და სხვა საქმეები. მოხდება აგრეთვე არჩევნები საზოგადოების მოხელე პირთა. სულ ამ ჟამად საზოგადოებას ჰყავს 1673 წევრი. მთელი წარმოება საზოგადოებისა საანგარიშო წელს გამოიხატა 148,859,457 მან. 54 კაპ.; მოგება ჰქონია 19,144 მან. 36 კაპ.

◆ როგორც „კავ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, **დაინიშნენ:** ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი რუსანოვი—ამავე თანამდებობაზე კავკავის ოლქის სასამართლოში; ტფილისის ოლქის სასამართლოს მდივანი მირონოვიჩი—ამავე ოლქის სასამართლოს წევრად.

◆ **მუხრანის ხიდის გასაკეთებლად** ქალაქს დასჭირდება რიყის მხრით მოზრდილი ადგილი, რომელიც ეკუთვნის ახნაზაროვის მემკვიდრეებს. გუშინ ახნაზაროვების მემკვიდრეებმა განცხადება შეიტანეს ქალაქის გამგეობაში. **სწერენ:** თუ ქალაქი მთელ ადგილს არ ჩამოგვართმევს და ერთს ნაწილს, (მაგ. რიყესა და იზვოზნი ქუჩას შუა) ჩვენ დაგვიტოვებს, დავჯერდებით 46 ათას მან., ხოლ თუ სულ ჩამოგვართმევს, მაშინ 60 ათას მან. უნდა მოგვცეს ქალაქმაო. ადგილის პატრონნი ამას გარდა სწერენ: თუ ვინიცობაა, შეთანხმება 23 მარტამდე არ მოხდა, ამ განცხადებაზე უარს ვიტყვითო.

◆ რადგან **ტფილისის მოქალაქეთა** მამასახლისმა ა. ს. ბულდანოვმა ავადმყოფობისა გამო სამსახურს თავი დაანება, ტფილისის გუბერნატორმა, როგორც გავიგეთ, წინადადება მისცა კანდიდატს დანდუროვს დროებით შეუდგეს მამასახლისის თანამდებობის ასრულებას.

◆ კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებამ ერთხმად **მიუსაჯა პრემია 300 მანეთი** საბებიო ინსტიტუტის ორდინატორს ექიმს ლ. მ. მონინს შემდეგის თხზულებისათვის; „ფიზიოლოგია და დიეტეტიკა მშობიარეთა, ორსულ ქალთა და ახალ-დაბადებულთა“. ეს თხზულება დაწერილია რუსულად მდაბიურისა და ხალხისათვის გასაგებ ენით.

◆ დღეს, 20 მარტისათვის, დანიშნულია სხდომა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის ოთხ-კლასიან სასწავლებლის პროექტი და სხვა საქმეები.

◆ ოზურგეთის საქალებო პროგიმნაზიის გამგენი ბ-ნნი მართა დოლობერიძის და სოფიო ქარცივაძის ასულნი გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „უღრმესს მადლობას ვუცხადებთ: 1) კნ. მგ. კონ. და იულია ფარსად. ნაკაშიძეებისას, რომელთაც იკისრეს გამგეობა და მოწყობა საქველ-მოქმედო წარმოდგენისა, რომელიც წარსულს 8 თებერვალს გაიმართა ოზურგეთში კერძო საქალებო პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. 2) ადგილობრივის სცენის მსახიობთ: ქ-ნ ე. წუწუნავას ასულს, ბბ. ალ. წუწუნავას, ნ. ბებურიშვილს. 3) სცენის მოყვარეთა: ქქ-ნ. თ. შარაშიძეს, ნ. ჯაყელს, მ. ანთაძეს, თ. ნაკაშიძის ასულთ. ბბ. ს. ურუშაძეს, ვ. გოგიბერიძეს, ი. დემუროვს და ქ. თაყაიშვილს. 4) თ. დიმიტრი ერისთავს, თ. რომანოვს, ს. თავართქილაძეს, ა. წ—ძეს, რომელთაც დივერტისმენტში მიიღეს მონაწილეობა. 5) ბ. ბელიოტ—სკოტს 10 მან. შემოწირვისათვის, ს. თავართქილაძეს აფიშების მუქთად დაბეჭდვისათვის და ყველა იმ პირთ, ვინც რითიმე დახმარება აღმოგვიჩინა; აგრეთვე საზოგადოებას, რომელმაც თანაუგრძნო და დაესწრო ამ საღამოს. წარმოდგენიდან შემოვიდა: ბილეთების გაყიდვით—200 მან. 50 კაპ., ბუფეტიდან—37 მან. 4 კაპ., სულ 237 მან. 54 კაპ. დაიხარჯა—39 მან. 55 კაპ., დარჩა წმინდა შემოსავალი—199 მან. 99 კაპ., რომელიც წარმოდგენის გამგეთაგან გადაეცა ბ. მაზრის უფროსს, ხოლო უკანასკნელისაგან ჩვენ“.

◆ დღეს, 20 მარტისთვის, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია კრება სატეხნიკო საზოგადოებისა.

◆ პირაქეთ ხევსურეთის სოფ. ღულში მცხოვრებ ხევსურს ნანაიძე ქისტაურს უცაბედად თოფი გავარდნია, მოხვედრია გულში და იქვე მომკვდარა.

— სოფ. წოკის (თიანეთის მაზრა) მცხოვრების გაბრიელ გულაშვილის სადგომიდან ვიღაც ბოროტ განმზრახველებს წაუღიათ სხვა და სხვა ძვირფასი ნივთი 79 მანეთისა. დამნაშავედ ასახელებენ სოფ. ზემო-თიანეთის მცხოვრებს სიმონ ფილაშვილს.

◆ ცეცხლის წაკიდება: ნუკრიანის საზაფხულო ბინაზე (სიღნ. მაზრა) ვიღაც ბოროტ განმზრახველებს გადუწვავთ ორი სახლი, რომელიც ეკუთვნოდა სოფ. ნუკრიანის მცხოვრებთ სანდრო და [illegible]ქრო ჩერქეზიშვილებს. დამნაშავეთ იმავე სოფლელს მინა გოგინაშვილს ასახელებენ.

— სოფ. კელმენჩურის (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებ სოსია და ნიკო ბაიდაშვილების სახლს ცეცხლი წაუკიდეს. გადიწვა სახლი და მთელი ქონება, რაც შიგ ჰქონდათ. დამნაშავედ ასახელებენ სოსია ადამიძე ბაიდოშვილს და ნიკო მიშვილს.

◆ კაცის დაჭრა: სოფ. ვეჯინში (სიღნ. მ.) ჩხუბის დროს მძიმედ დასჭრეს ცულით ნესტოს სოფრომაძე.

— სოფ საკობოს მცხოვრებს ლევან სოსიტაშვილს გზათ მიმავალ ანაგის ხეობაზე თავს დაესხნენ სოფ. ვაქირის მცხოვრებნი მიხა ნანობაშვილი, ვანო ჩილაურიშვილი, წაართვეს ფული, ხანჯალი და მძიმედ დასჭრეს.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მეექვსე (საგანგებო) კრება.

12 მარტი

კრება დაიწყო დილის $10^{1}/_{2}$ საათზე ქალაქის თეატრში. მრეწველთაგან მხოლოდ 50-მდე კაცმა მოიყარა თავი. გარეშეთ კრებაზე არ უშვებენ. კრებას სრულიად სიცოცხლე არ ეტყობოდა. კრების დაწყებისთანავე თავმჯდომარემ ბ-ნმა ჩენგერიმ მოკლედ გააცნო მრეწველთ მიწათ-მოქმედებისა და სამინისტროს მიერ 1904 წლის 5 თებერვალს დამტკიცებული კრებების ახალი დებულება, რომელიც, სხვათა შორის, იმით განსხვავდება ძველისაგან, რომ თვითეულს მრეწველს ეძლევა არა უმეტეს ოთხის ხმისა—ორი შავი-ქვის დამუშავებაში და ორიც ქვის რკინის გზით გადატანაში. შემდეგ მდივნად არჩეულ იქმნა დ. ბ. მდივანი. მერე არჩეულ იქმნა კომისია ხმებისა და ვექილობების შესამოწმებლად. კომისიაში მოხვდნენ: თავ. ი. გ. აბაშიძე, ნ. მ. ყიფშიძე, ი. პ. კაკაბაძე და პ. ა. მარკოვსკი. სხდომის განახლების შემდეგ თავმჯდომარე შეუდგა პროგრამის მეორე საკითხის განხილვას შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა გამოყენებულ იქმნას ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობაში 1903 წლის 2 ივნისის კანონი, რომელიც შეეხება უბედურ შემთხვევების დროს დაშავებულ მუშებისა და მოსამსახურეთა დაჯილდოვებას. გ. ფ.

ფელეტონი

ჩვენებური საქმიანობა

არის ზოგიერთი ისეთი საერთო თვისება და ნიშანი ხალხისა, რომელსაც ადგილობრივი მეთვალყურე,—ამავე ხალხის ცხოვრების ნიადაგზე აღზრდილი და განვითარებული,—ისე ადვილად ვერ შეამჩნევს და ვერ შეიგნებს, როგორც უცხო და სხვა ქვეყნიდან მოსული. ეს ითქმის საზოგადოდ ყველა ხალხებზე და ეგევე ითქმის კერძოდ ჩვენს შესახებაც. თითოეული ჩვენგანი დაბადებიდანვე შეჩვეულია ადგილობრივ ცხოვრებას, ხალხის ზნე-ჩვეულებას, ხასიათს და მიდრეკილებას; თვალი, აზრი, ჭკუა-გონება ეჩვევა და ეთვისება ყოველ დღიურ მოვლენათ და ამის გამო ჩვენ აღარ გვაკვირვებს და არც გვაფიქრებს ბევრი ისეთი რამ, რაც შორიდან მოსულ უცხოელს უცებ თვალში ეცემა და დაკვირვების საგნად უხდება. ეს უკანასკნელი შეამჩნევს ხოლმე ბევრს ისეთ „ბნელ მხარეებს“, რომლებიც ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობას შეგნებული არა აქვს და არც „ბნელად“ და დასაგმობად არ ეჩვენება. ამიტომაც უცხო მოგზაურთა და მწერალთა აზრი ჩვენს შესახებ საინტერესოა ჩვენთვის არა მარტო უბრალო ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, არამედ იმ მხრივაც, რომ ჩვენი ესა თუ ის ნაკლულევანება უცხოთაგან გავიგოთ და ვეცადოთ მის მოსასპობად ან გასასწორებლად. ევროპიელ მოგზაურებს ბევრჯერ უწერიათ საქართველოს შესახებ და თავის ნაწერებში აღუნიშნავთ ქართველის როგორც კარგი, ისე ცუდი თვისება და ნაკლულევანება. ჩვენ გვინდა დღეს მოვიხსენიოთ მხოლოდ ერთი იმათგან შემჩნეული და აღნიშნული ნაკლულევანება და მივაქციოთ მასზე მკითხველის ყურადღება.

ამ ორისა, თუ სამის წლის წინედ გერმანულ ენაზე დაიბეჭდა ერთი წიგნი, რომელიც საქართველოსა და ქართველ ხალხს შეეხება. ავტორი წიგნისა, მერცბახერი, 1890 წელს იყო კავკასიაში, მოიარა ჩვენი სამშობლო, გაიცნო ცოტად თუ ბევრად ჩვენი ხალხის ცხოვრება და თავის ორ დიდ ტომიან თხზულებაში აგწერა საქართველოს ბუნება და ქართველი ხალხის ეროვნული ელფერი და თავისებურობა. აქებს, რასაკვირველია, ბუნების სიუხვეს და სიმდიდრეს, მაგრამ თან გულის ტკენით იხსენიებს ადამიანის მოქმედების სიმცირეს და ხალხის სიზანტეს... რაღა ბევრი გავაგრძელოთ: ქართველები ძალიან ზარმაცები არიანო, ამბობს მერცბახერი.

ასეთი აზრი, მერცბახერს გარდა, სხვებსაც გამოუთქვამთ ჩვენს შესახებ, იშვიათია ისეთი ევროპიელი მწერალი, რომელსაც ჩვენი მხარე მოევლოს, ჩვენი ყოფა-მდგომარეობა გაეცნოს და თავის ნაწერში ჩვენი „სიზარმაცე“ არ ეხსენებიოს. რა საკვირველია, ამ უცხოელებს პირი არ შეუკრავთ და ერთმანეთთან არ შეთანხმებულან, რომ ჩვენ ერთხმად ზარმაცებად დავესახეთ და ვეძაგებიეთ. ცხადია, იმათ უნახავთ ისეთი რამ, რასაც ასეთი შთაბეჭდილება მოუხდენია და ჩვენზე ამგვარი აზრი შეუდგენინებია. არ შეიძლება ყველანი მოტყუებულიყვნენ და ჩვენ სრულებით თავისუფალნი ვიყვეთ იმ ნაკლულევანებისგან, რომელსაც ისინი იხსენიებენ და ჩვენს დამახასიათებელ ნიშნად ასახელებენ...

რასაკვირველია, მარტო იმ საფუძვლით, რომ ამა თუ იმ ხალხის საერთო შრომას შედარებით მცირე ნაყოფი მოაქვს, არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ამაში თავი მიზეზი ხალხის სიზანტე და სიზარმაცეა. შეიძლება, ხალხი ძალიან მუყაითი და შრომის მოყვარე იყოს, მაგრამ მის შრომას არ ჰქონდეს საკმაო შედეგი და ნაყოფიერობა. ადამიანის შრომის ნაყოფიერობაზე მთავარი გავლენა აქვს ჰავას და საერთოდ ბუნებას, მშრომელის სხეულის სიმაგრესა და აგებულებას, სმა-ჭამას და ფიზიკურ ჯანმრთელობას, ტეხნიკას, სწავლა-აღზრდას და გონება-ზნეობის განვითარებას. ერთის სიტყვით, მთელი ერის მუშაობის მცირე შედეგს და, მაშასადამე, სიღარიბეს შეიძლება ბევრი სხვა მიზეზები ჰქონდეს, ვიდრე კერძო ადამიანთა სიზარმაცე და უმოქმედობა.

ჩვენის აზრით, საერთოდ ჩვენი ხალხის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ზარმაცი და horror laboris მქონეა. ჩვენებური გლეხი ისეთ ხრიოკებზე სთოხნის სიმინდის ყანას, სადაც მარდ ფრანგს გავლა გაუჭირდება; ისეთ გუთანს ათრევს დაბლობში, რომელსაც მძიმე გერმანელი ერთ დღესაც ვერ გაუძლებდა; ისეთ ტყე-ღრეებში და უფსკრულად გადაქცეულ გზებზე მიაქვს სხვადა სხვა ნამუშავარი, რომლის მსგავსის წარმოდგენა ევროპიელს გაუძნელდება. ევროპაში ბევრ ადგილას მინახავს გლეხების მუშაობა და არსად არ შევხვედრივარ, რომ იქ ადამიანი ისეთ წელის მომწყვეტ ჯაფას ეწეოდეს, როგორც ჩვენი გლეხობა. და ეს იმიტომ, რომ იქ ტეხნიკა განვითარებულია და ადამიანს შეუძლია ნაკლები ძალ-ღონის დახარჯვით წარმოების წარმართვა და საქმის შესრულება. ჩვენში კი მუშაობა უმთავრესად ადამიანის ფიზიკურ ღონეზეა დამოკიდებული და ამის გამო მშრომელის აგებულება მალე ილახება და უძლურდება.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ჩვენ მაინც გასაგებად მიგვაჩნია, თუ რად უნდა დაესახათ ჩვენ საერთო თვისებად ევროპიელებს სიზარმაცე და შრომის უარისყოფა. ევროპიელს, რომელიც თავის ქვეყანაში შეჩვეულია თანდათანს და განსაზღვრულ წეს-რიგზე აგებულ საქმიანობას, ჩვენი მუშაობა და ცხოვრების წესი უეჭველად უნდა ეჩვენებოდა ზარმაცობისა და უსაქმურობის გამომხატველად. სწორედ ის თანდათანობა, წესი, განსაზღვრული გეგმა და დაწყობილობა, რომელიც ახასიათებს ევროპიელის შრომა-მოქმედებას, აკლია ჩვენებურ გარჯასა და საქმიანობას. ქართველი მუშა—გლეხია იგი თუ სხვა ხელობის კაცი—რამდენსამე ხანს ისე ცხარედ მოეკიდება საქმეს, რომ ჯან-ღონეს მიალევს, ენერგიას ერთიან დახარჯავს და მთლად ოფლში გაიწურება, ხოლო ამის შემდეგ იმდენსავე დროს მოანდომებს დასვენებას და ენერგიის ხელ-ახლა მოკრეფას. ძალიან საინტერესო დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს ამ მხრით სიმინდის თოხნა. შედიხართ ყანაში და ხედავთ, რომ მუშა თავ-გამოდებით მუშაობს, იგრიხება წელში და ელვის სისწრაფით უვამს თოხს მიწას. ასეთი ფიცხი მუშაობა ისე საძნელო საქმეა, რომ არავითარ ორგანიზმს არ შეუძლია დიდხანს დაუსვენებლად ატანა. არ გაივლის 15 წუთი, რომ მუშა ეყრდნობა თოხის ტარს, ისვენებს და იკრებს ახალ ენერგიას. ამ დასვენებაში გადის თითქმის იმდენი დრო, რამდენიც მოუნდა აჩქარებულ მუშაობას. დასვენების შემდეგ მუშა ისევ წინანდებურის სიჩქარით განაგრძობს თოხნას, რომ რამდენისამე წუთის შემდეგ კიდევ თოხს დაეყრდნოს აჩქარებულ ქშენის დასაწყნარებლად. და ასე ამ ნაირად იგი მუშაობს მთელ დღეს და საღამოს ბრუნდება სახლში დაქანცული და დამტვრეული. რასაკვირველია, მთელ დღეს მას მეცადინეობისათვის არ უკლია, მუშაობდა, რამდენიც კი შეეძლო მის სხეულს აეტანა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარჯის ნაყოფი კულტურულ ადამიანის შრომასთან შედარებით მაინც მცირე და ნაკლებია. გერმანელი გლეხი რომ დააყენოთ ჩვენებურ მუშასთან და ორივე ერთნაირის იარაღით ამუშაოთ, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ პირველი მეტსაც გააკეთებს და არც ქართველსავით მოიქანცება. ეს იმიტომ, რომ მან იცის თავის ძალ-ღონის გამოზოგვა და ერთნაირ დონეზე შრომა,—იცის ბარაქიანი მუშაობა. და სწორედ ამით განსხვავდება კულტურული შრომა, ვითარცა ფიზიკურ ძალ-ღონის ხარჯვა, უკულტურო და განუვითარებელ ადამიანის შრომისაგან.

შემცდარია ის აზრი, ვითომ თანდათანი

ზდანოვიჩის თხოვნით ეს საკითხი გადადებულ იქმნა მეორე დღისათვის, რომ განხილვას მრეწველთა მეტი რიცხვი დასწრებოდა.

შეუდგნენ პროგრამის მესამე მუხლის განხილვას, რომელიც შეეხება სამთო დეპარტამენტთან დასაარსებელ საგანგებო საბჭოს კანცელარიის შესანახად ფულის გადადებას. ბ-ნ ზდანოვიჩმა საჭიროდ სცნო გადაიდოს ამ საგნისთვის 1500 მანეთი. მცირე კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, გადაიდოს 1200 მანეთი სამთო დეპარტამენტთან საგანგებო საბჭოს კანცელარიის შესანახად.

თავ. ი. გ. აბაშიძემ მოითხოვა მოხსენდეს კრებას, რომელს ინსტანციებში გაიარა შუამდგომლობამ დებულების დამტკიცების შესახებ, რომელიც ასე დამახინჯებული და შეცვლილია. თავმჯდომარემ საჭიროდ არა სცნო ამისი მოხსენება, რადგან ამას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექმნებაო; ვისაც ახალი დებულება არ აკმაყოფილებს, შეუძლიან დადგენილის წესით შუამდგომლობა აღძრას შეცვლის შესახებ. ბ-ნმა ზდანოვიჩმა სთქვა, მომავალ მორიგ კრებისთვის საბჭო წარმოადგენს ანგარიშს, სადაც, სხვათა შორის, იქმნება ცნობები, რომელიც აინტერესებს თავ. აბაშიძესო.

საკითხი შავი-ქვის ტარიფის დაკლების შესახებ ბ-ნ ემერიკის თხოვნით გადაიდვა შემდეგის კრებისათვის. გადადებულ იქმნა აგრეთვე საკითხი საფუთო გადასახადის მომატების შესახებ, რადგან ეს საკითხი კენჭის ყრით უნდა გადაწყვეტილიყო და ვექილობები და ხმები კი ჯერ შემოწმებული არ იყო. თავმჯდომარემ წარუდგინა კრებას საკითხი ფოთის ნავთსადგურში ხომალდებში შავი-ქვით დასატვირთავ სამექანიკო მოწყობილებათა გამართვის შესახებ. ბ-ნმა ემერიკმა აუხსნა კრებას, ამ საკითხის შესახებ ფოთის ნავსადგურის მოურავს ჰსურს მოხსენება წარმოუდგინოს და საჭიროა მოვუცადოთ მის ჩამოსვლასო. ეს წინადადება ერთხმად მიიღეს.

ამის შემდეგ თავმჯდომარე შეეხო პროგრამის მეექვსე მუხლს. ეს მუხლი შეეხება ჭიათურის საქალაქო სასწავლებლის დაარსებას სპეციალურ სამთო განყოფილებითა და ორის სახელოსნოთი. ამ საგნის შესახებ ბ-ნმა ზდანოვიჩმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება. ბ-ნმა ზდანოვიჩმა განაცხადა: ამ სასწავლებლის დაარსების შესახებ წარსულ წელს იყო აღძრული შუამდგომლობა სამთო ოლქის მზრუნველის წინაშე, რომელმაც მოსთხოვა კრების დადგენილების ოქმის პირი შესახებ იმისა, რომ კრება ჰკისრულობს ყოველგვარ ხარჯს, რაც სასწავლებლის დაარსებასა და შენახვას დასჭირდებაო. გ. გ. ემერიკმა წინადადება მისცა კრებას, აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა საერო განათლების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ სასწავლებლის შენახვაში კრებას აღმოუჩინოს ყოველწლიური შემწეობა. ბ-ნი ზდანოვიჩი ამის წინააღმდეგი იყო: შემწეობა ისეთი დიდი არ იქმნება, რომ ღირდეს იმისთვის მასწავლებელთა დანიშვნის უფლების დაკარგვაო. ს. ი. როხიკმა (II საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი) განაცხადა, რომ სამინისტროს მიერ დანიშნული შემწეობა იქმნება არა უმეტეს 1420 მანეთისაო. ამას საჭიროდ მიაჩნია სწავლის ფულის დაწესება. უმრავლესობა წინააღმდეგი იყო სწავლის ფულის დაწესებისა. მცირე კამათის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა: დაარსდეს ჭიათურაში ექვს-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი სამთო განყოფილებითა და ორის სახელოსნოთი, რისთვისაც ყოველწლიურად უნდა გადაიდოს 15 ათას მანეთამდე. ამასთან მიანდო საბჭოს, მცოდნე პირთა დახმარებით შეიმუშაოს სასწავლებელთან დასაარსებელ სამთო განყოფილების პროგრამა. ამის შემდეგ სხდომა გადაიდო 16 მარტისათვის

16 მარტი

16 მარტის სხდომა საბჭოს სადგომში მოხდა. ოქმის დამტკიცების შემდეგ გ. ფ. ზდანოვიჩმა წაიკითხა თავისი მოხსენება შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა გამოქვეყნებულ იქმნას ჭიათურის მრეწველობაში 1903 წლის 2 ივნისის კანონი, რომელიც შეეხება უბედურ შემთხვევების დროს დაშავებულ მუშებისა და მოსამსახურეთა დაჯილდოვებას. ავტორს საჭიროდ მიაჩნია გადადებულ იქმნეს ამ საგნისათვის ყოველწლიურად 30 ათას მანეთი; აქედან 20 ათას მანეთი უნდა გადაიხადოს მრეწველთა კრებამ თავისის საშუალებიდან; დანარჩენი 10 ათასი მანეთი კი დაეკისროს გარდასახდელად თვით მრეწველთ. ბ-ნი ემერიკი დაეთანხმა ბ-ნ ზდანოვიჩს და საჭიროდ სცნო, რომ თვით მრეწველთაც მიიღონ მონაწილეობა ამ ხარჯში, რომ უბედურ შემთხვევათა რიცხვი შემცირდეს. ზოგიერთი მუშა თვითონ ძალად ისახიჩრებს თავს, რომ ჯილდო მიიღოს, სთქვა იმან.—ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა, ყოველი მრეწველი დაინტერესდეს, ხეირიანად მოაწყოს მუშების საქმე და მასთან თვალ-ყური ადევნოს, რომ მუშებმა ძალად არ დაისახიჩრონ თავი იმ იმედით, რომ ჯილდოს მიიღებენ. ზოგიერთები იმ აზრისანი იყვნენ, რომ მრეწველთ დაეკისროთ გარდასახდელად მთელის ხარჯის მხოლოდ 1/10 ნაწილი. თავ. ი. გ. აბაშიძემ საჭიროდ დაინახა, რომ კერძო მრეწველნი სრულიად განთავისუფლდნენ ხსენებულ გარდასახადისაგან: ადვილად შესაძლებელია, რომელსამე ღარიბ მრეწველს ერთის წლის განმავლობაში 1000 მანეთი შეხვდეს გარდასახადი; ეს კი იმისთვის პირდაპირი გადატაკება იქმნებაო. ბ. პ. მოსეშვილმა აღნიშნა: ხშირად მუშები ბოროტ-მოქმედობენ და ჯილდოს მისაღებად ყოველ ღონეს ხმარობენ. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა, თვით მწარმოებელნიც დაინტერესდნენ; ამასთან საჭიროა, რომ ყოველ თვიურად აწერილ იქმნას, ვინ მუშაობს მაღნებში, რომ სრულიად გარეშეებმა არ ითხოვონ ჯილდოვო.

დონ-ვალიანი

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც „პერმს. გუბ. ვედ." იუწყება, რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებამ ცუდი გავლენა იქონია ციმბირის სამთო-მრეწველობაზე, უმთავრესად ოქროს მრეწველობაზე. სხვა მიზეზთა გარდა, როგორც, მაგალითად, სანოვაგის სიძვირეა, ამ მრეწველობას ძლიერ აფერხებს ის გარემოებაც, რომ მობილიზაციამ (სათადარიგო ჯარის კაცთა სამსახურში გაწვევა) მრეწველობას წაართვა უმეტესი ნაწილი მუშებისა. ამის გამო ოქროს მრეწველთ შუამდგომლობა აღუძრავთ, სამსახურში გაწვევისაგან გაანთავისუფლონ ის სათადარიგო ჯარის-კაცნი, რომელნიც ოქროს სამრეწველო დაწესებულებებში მუშაობენო. როგორც ამბობენ, მიწათ-მოქმედებისა და ფინანსთა მინისტრები თანაგრძნობით მიჰგებებიან ამ შუამდგომლობას, მაგრამ შეწყნარება ამისა დამოკიდებულია მინისტრთა კომიტეტზე.

◆ როგორც „იუჟ. ობოზრ." იუწყება, აღდგომის შემდეგ კიშინევიდან კალიფორნიას წასასვლელად ემზადება ებრაელთა 51 ოჯახი. ამათ რამდენისამე თვის წინად გაუგზავნიათ რწმუნებულნი სან-ფრანცისკოს, სადაც შეუძენიათ კიდევაც 1200 დესიატინა მიწა.

◆ დიდი ხანია კალუგის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ცდილობს, მოაწყოს მაზრაში იაფ-ფასიან და სასარგებლო წიგნების გავრცელების საქმე, მაგრამ ჯერ-ჯერობით მათი ცდა უნაყოფოდ რჩება. რამდენჯერმე აღუძრავთ შუამდგომლობა გუბერნატორის წინაშე, რომ უფრო მოხერხებულ ადგილებში წიგნების საწყობების გამართვის ნება მოგვეცითო, მაგრამ გუბერნატორი იმათ შუამდგომლობას ყოველთვის უყურადღებოდ სტოვებს თურმე. („რ. ვ.").

◆ შორეულ-აღმოსავლეთში ომის დაწყებიდანვე ზოგიერთ მრეწველ მეთევზეებს სრულებით შეუჩერებიათ მუშაობა, რის გამო მოიჯარადრენი ამ მრეწველობისა დიდ გაჭირვებაში არიან. როგორც „ბირჟ. ვედ." იუწყება, იმათი ზარალი 3 მილიონამდე აალწევს, თუ ხაზინამ საიჯარადრო გადასახადებისაგან არ გაანთავისუფლაო.

წერილი ოზურგეთიდან

სოქრების საქმე.—ბურთაობა ბაზარში.—ქალაქის მამათა დარბაზიდან.—სამკითხველოს წესდების დამტკიცება.

როგორც იქმნა, ოზურგეთელ ნოქრებს ეღირსათ დასვენება კვირაობით: იმათმა თხოვნამ გასჭრა და სავალდებულო დადგენილება ამ საგანზე გამოცემული გუბერნატორის მიერ სისრულეში მოჰყავთ აგერ სამი თვეა. მაღაზიების დაკეტვამ, ცოტა არ იყოს, ზოგიერთი ჩვენი ვაჭრები (უმეტესად ჩარჩები და მევახშეები) დააფიქრა და დაალონა. ბევრი იფიქრეს, რამე მალამო დაედოთ და მაღაზიების დაკეტვა მოესპოთ, მაგრამ ვერას გახდნენ. ბოლოს ძალა-უნებურად დამორჩილდნენ და მაღაზიები იკეტება დილიდან შუადღის 12 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან მეორე დღემდის. მაღაზიების დაკეტვას თან მოჰყვა ბურთაობის თამაში: ყოველ კვირა დღეს აუარებელი ხალხი იყრის ბაზარში და ჰმართავს „ბურთაობას". ან-კი რა ჰქნან, როცა სხვა გასართობს მოკლებულნი არიან. 23 თებერვლისათვის უკანასკნელი (უკანასკნელი მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ 22 მარტს ახალი არჩევნებია დანიშნული) მორიგი კრება იყო დანიშნული ქალაქის რწმუნებულებისა. ცხრა საათი შესრულდა, მაგრამ ხმოსნები არსად სჩანდნენ. სულ ორი კაცი იყო დარბაზში. ბოლოს თავმჯდომარემ სთქვა: „ვინაიდან ეს კრება მესამედ არის დანიშნული და რწმუნებულნი კი არსად არიან, საჭიროა რამე ნაირად ეს ერთი კრება მაინც მოვახდინოთო. გაჰგზავნეს სამი კაცი და, როგორც იყო, 10 საათზე შეგროვდნენ რწმუნებულნი და შეუდგნენ საქმეების განხილვას. კრებას მოხსენდა იმ გაჭრობის შინაარსი, რომლითაც ქალაქს გაუცია ამ 1904 წლისათვის იჯარით ქალაქის დუქანი (ბუდკა) 145 მანეთად წელიწადში. ერთხმად მიიღო. 1903 წელს ქალაქის ზოგიერთ

ა მეტოდიური მუშაობა რასიული ე. ი. ტომობრივი თვისება იყოს ამა თუ იმ ხალხის. ეს თვისება შეიძინება არა რასით და ტომობრივ ჩამომავლობით, არამედ ისტორიულ ცხოვრებით და კულტურულ განვითარებით. დაუწყობლად და უწესრიგოდ შრომა ემჩნევა ყველა ხალხებს, რომლებიც კი გასცილებიან კულტურის დაბალ საფეხურს. „ველური,—სწერს რაცელი,—შეიძლება თუ ვიტყვით, ხშირად კულტურულ ადამიანზედაც მეტს შრომობს, მაგრამ მისი მუშაობა სწარმოებს არა წესიერად და ...ულებით, არამედ, ასე ვთქვათ, ნახტომებით და სურვილის მიხედვით. ხანგრძლივი, წესრიგზე დალაგებული საქმიანობა ეჯავრება ველურს". ერთი მოგზაური შემდეგს მოგვითხრობს ახალ გვინეის მცხოვრებთა შესახებ, რომლებიც რაღაც სამუშაოზე დაექირავებინათ ევროპიელებს: „სამუშაოს ხშირად თავს ანებებდნენ; ზოგი თუთუნის წევას იწყებდა, ზოგი ჭამას, ზოგი საჭმლის ხარშვას და ზოგი კიდევ წასაძინებლად წვებოდა. ამგვარად ...ობენ ისინი, როცა თავის საქმესაც აკეთებენ, ასე რომ ეს უცხოელმა არ უნდა იხა...მოს. ამ ბუნების შვილებმა არ იციან, თუ რა არის ხანგრძლივი შრომა, როგორც ამას ჩვენ ვართ შეჩვეულნი. პაპუასთა და კანაკელთა ენერგია მალე იფეთქებს და ამოძრავდება, მაგრამ ისევ მალე ჩაჰქრება". „იშვიათად ნახავთ,—ამბობს ერთი ინგლისელი მისიონერი,—რომ ახალზელანდელი რამდენსამე ...ს შეუწყვეტლად მუშაობდეს ერთ საქმეზე, რადგან მან არ იცის დროს ფასი, მისთვის სულ ერთია, თუ რას გააკეთებს იგი ...ოში. მთელი მისი ცხოვრების წესი ...ებულია სისტემას და ამიტომ მას ფი...ც არ მოუვა თავისი საქმეები გაანაწილოს ...ყველას თავისი დრო დაუნიშნოს. იგი ყველაფერში ბუნების მოთხოვნილებას ემორჩილება: სჭამს და ზომაზე მეტად ივსებს მუცელს, როცა მოშივდება, წვება დასაძინებლად, როცა დაიღლება და ძილი მოუნდება, დაიწყებს ცეკვასა და სიმღერას, როცა იგრძნობს ამის მოთხოვნილებას".

ასეთი მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ადამიანის შრომას თავისი განვითარების ისტორია აქვს, მრავალთ-მრავალია ეტნოგრაფიულ ნაწერებში. ყველა ისინი გვიჩვენებენ, რომ რამდენადაც ხალხს აკლია საზოგადო კულტურა და ისტორიული განვითარება, იმდენადვე მის შრომას არ აქვს წესრიგი და წინ-და-წინ გათვალისწინებული მიმართულება. „ველურის მუშაობა სულ სხვა გვარ მოტივებსა და ნიადაგზეა აგებული,—სწერს მიუხერი,—ვიდრე შრომა კულტურულ ადამიანისა. პირველის შრომაა შრომა მოთხოვნილებისა, ე. ი. სწარმოებს მაშინ, როცა მშრომელს თავის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოუნდება, ხოლო მეორის შრომაა—შრომა ალებ-მიცემობითი." (შეად. Arbeit und Rhythmus, გვ. 5—9).

ყველა ზემოდ ნათქვამი იმას მოასწავებს, რომ შრომასაც, როგორც ყველაფერს, უნდა შესწავლა და შეთვისება. ეს შესწავლა ჰხდება საერთო სოციალურ ცხოვრების განვითარებით და ახალთაობის გონივრულ აღზრდით. და სწორედ ამგვარ შესწავლის შედეგია ის, რომ კულტურული და უკულტურო ადამიანი ასე დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შრომა-გარჯის მხრით. „ვის არ უნახავს—სწერს ბუტმი საქმიან ინგლისელზე—ლონდონის „სიტის" ქუჩებში ეს ჩქარა მიმავალი ადამიანი, რომელსაც, ჰამილტონის სიტყვით, ისეთი სიჩქარე ემჩნევა, თითქოს ბებია-ქალის საძებნელად მირბოდეს. იგი მიდის თავის გზაზე პირდაპირ, არაფერს არ უცქერის, რასაც შეეძლოს მისი ყურადღების მიქცევა; არაფერს ჰხედავს, გარდა იმ პრაქტიკულ მიზნისა, რომლისაკენაც მიილტვის. ეს არის ინგლისელი business-man,—საქმის კაცი. გავჰყვეთ ამ კაცს და შევჰყვეთ მის კანტორაში. როგორც კი შევა, იგი მაშინვე საქმეს ადგება მთელის თავისის ყურადღებით. იგი არ იღებს ზევით თავს, რომ მფრინავ ბუზს შეჰხედოს, არ ატარებს თავის გონებაში ისეთ აზრს, რომელსაც შეეძლოს მისი გატაცება და საქმეზე მოცდენა. ერთი წუთითაც-კი არ სწყვეტს მუშაობას, ერთი წამითაც-კი თავს არ ანებებს პრაქტიკულ და განსაზღვრულ საქმიანობას. ცნობილია, რომ ინგლისელ მუშის დიდ ქირას, სხვათა შორის, შემდეგის გარემოებითაც ჰხსნიან: რომ ინგლისელი მუშა ძალიან ნაყოფიერი და ბარაქიანი მშრომელია. ერთსა და იმავე დროს განმავლობაში იგი ბევრად მეტ საქმეს აკეთებს, ვიდრე, მაგალითად, ირლანდელი ან გერმანელი. ეს იქიდან წარმოსდგება, რომ მის საქმიანობას არ ახლავს ცარიელი ანუ უქმი წუთები, რომლებსაც იგი სამუშაოს გარდა სხვა რამეს ანდომებდეს" (იხ. ბუტმის Essai, გვ. 12).

ჩვენ, რა თქმა უნდა, შორსა ვართ ამგვარ საქმიანობისაგან და ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ ევროპიელ მოგზაურებს ქართველი ხალხი სჩვენებოდეს ზანტობისა და ზარმაცობის განხორციელებად. ის საზოგადოებრივი პირობები, რომლებმაც შეჰქმნა დაუცხრომელ მოქმედების სიყვარული ევროპიელში, ჯერ სავსებით არ აღმოცენებულა და არ განვითარებულა ჩვენში. არა თუ ასეთი პირობები, რომლებიც ხელის შემწყობია საქმიანობისა და შრომის მოყვარეობის გაძლიერებისა,—პირიქით, ჩვენს ცხოვრებაში მოიპოვება ბევრი ასეთი გარემოება, რომელიც არის პირდაპირ ხელის შემშლელი და დამაბრკოლებელი. ადამიანი მხოლოდ მაშინ უმატებს მუყაითობას და მეცადინეობას, როცა მთელის თავის შრომა-გარჯის ნაყოფს მიიღებს. საკუთარი სარგებლობა და ამ სარგებლობის მოთხოვნილებად გახდომა მთავარი ძალა და მოტივია ადამიანის გაცხოველებულ საქმიანობისა და მეცადინეობის. და აბა რამ აიძულოს ჩვენი გლეხი, ენერგიასა და მუყაითობას უმატოს, როცა იგი ჯერ კიდევ დროებით ვალდებულია, ყოველ მხრით ბატონისაგან დამოკიდებულია: მინდორზე ჰირნახული დაულპება, თუ ბატონის მოურავი არ მივიდა და თავისი მეოთხედი არ მიიზღა; როცა მშრომელი ჰხედავს, რომ მომეტებულ შრომა-გარჯის ნაყოფი მარტო მას არ დარჩება? რა გაუღვიძებს მიწათ-მომქმედს პრაქტიკულ სიფხიზლეს და შრომის მოყვარეობას, როცა მან იცის, რომ შრომის გადიდებულის ნაყოფით სხვა ისარგებლებს, რომ გზირი—მამასახლისი წინანდებულად დაარბევს, როცა სოფლის მწერლის ერთი კალმის მოსმა მას, შეიძლება, სამუდამოდ ცოლშვილსა და სოფელს დააშორებს? რამ აიძულოს მოქირავე მუშა შრომის ნაყოფიერობაზედ მეცადინეობას, საცა მისი ქირა ორი და სამი აბაზია, როცა მას ენა და ხელფეხი შეკრული აქვს და ხმამაღლად არ შეუძლია შრომის განაყოფიერების სამაგიეროდ სამუშაო დროს შემოკლების მოთხოვნა და თავის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა? და ასეთი გარემოება არა ერთი და ორია ჩვენს ცხოვრებაში...

ამავე დროს სახალხო სწავლა-განათლების საქმე ისეთ ნიადაგზეა დაყენებული, რომ ინგლისელების თქმულება: ცოდნა ძალაა, ჩვენში სრულებით არ მართლდება. სკოლა და ოჯახი, რომლებსაც დაწინაურებულ ხალხებში მიზნად აქვთ ხალხის გონება-ზნეობის ამაღლება და განვითარება, ჩვენში მოკლებულია ამ როლს და მნიშვნელობას. არც ერთი ჩვენგანი, არც ოჯახში და არც სკოლაში, არ იძენს შრომის სიყვარულს და დალაგებულ საქმიანობის ჩვეულებას. ამას ცხადად და ნათლად ამტკიცებს ჩვენებურ აღზრდის ნაყოფი—ჩვენი ინტელიგენცია, რომელსაც ფუქსავატობისა და უსაქმურობის მხრით ვერც ერთი ხალხის ინტელიგენცია ვერ დაედრება.

ფ. გოგიჩაიშვილი

(დასასრული იქნება)

მოიჯარადრეებს დროზე არ შეუტანია ქალაქის კასაში ხვედრი ფული. ამათზეა დარჩენილი დღესაც ცხრაას მანეთამდი. ერთ მათგანს, სასაკლაოს იჯარადარს, თხოვნაც კი შეუტანია ქალაქის გამგეობაში. თხოვნაში ნათქვამია: შარშან აგვისტოში მსროლელთა მეშვიდე ბატალიონი სამუდამოდ წავიდა ოზურგეთიდან, რის გამო მე 300 მანეთამდის ზარალი მომივიდა და იჯარის ფული მაპატიეთო. რწმუნებულთ უყურადღებოდ დასტოვეს ეს თხოვნა. შარშან ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციამ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ მსურს ავაგო ახალი საკუთარი შენობა ოზურგეთის ორ-კლასიან დედათა სასწავლებლისათვისაო და სთხოვდა ქალაქს რაიმე დახმარებას. რადგან ქალაქს ფული არა ჰქონდა, ამისათვის საჭირო ადგილი დაუთმო ქალაქის ბაღში, სივრცით 600 ოთხ-კუთხი საჟენი, ხოლო იმ პირობით, რომ ძველი შენობა, რომელშიაც ეხლა მოთავსებულია სასწავლებელი ქალაქს დარჩესო. ამგვარ გაცვლაზე დირექციაც დასთანხმებია. ამ ჟამად ახალი მზადაა და სასწავლებელიც შიგაა მოთავსებული, ძველი ქალაქს დარჩა, მაგრამ ურემონტოდ შიგ შესვლა ყოვლად შეუძლებელია: არა აქვს ბუხარი, იატაკი არ უვარგა და სხვა. —კრებამ დაადგინა: ეს ძველი შენობა გამოდგება ქალაქის გამგეობის კანცელარიისა და ამბულატორიისათვის და ეხლავე გადავიდეთ შიგ, არავითარი „რემონტი" არ არის საჭიროო. ამას გარდა კრებამ რამდენიმე უმნიშვნელო საქმე განიხილა. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, ოზურგეთის ქალაქის სახალხო სამკითხველოს წესდება შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე დაუმტკიცებია და ამ მოკლე ხანში სამკითხველო კიდევაც დაიწყებს მოქმედებას.

დასჯილი

დაბა-სოფლები

სოფ. მირზაანი (ქიზიყი). თანდათან ხშირდება ჩვენს სოფელში ქურდობა. თითქმი იშვიათად გაივლის კვირა, რომ არ დაიკარგოს ცხენები, რქოსანი საქონელი და სხვა. ამას წინად ფეხმარდი ქურდ—ბაცაცები ესტუმრნენ ჩვენს მასწავლებელს უტუსაშვილს: წაუღიათ ნივთები და საჭირო ქაღალდები. ამას არ დასჯერებიან, გაუტეხიათ გომის კლიტე და წაუყვანიათ ჯორი, რომლითაც ეზიდებოდნენ სკოლის შეგირდებისათვის წყალს. იმავე ღამეს მოუპარავთ კიდევ ორი ჯორი. გიგა და ქვრივ ანანა ზალდასტანოვებისა. კარგი იქმნება, ამ უბანში ორი ყარაული იყოს; მაშინ ქურდები ისე ველარ ითარეშებენ, როგორც ეხლა.

მგზავრი

ამერიკულ ვაზის შესახებ

დაახლოვებით ოცი წელიწადი იქნება, რაც იმერეთში ფილოქსერაა. ამ სენის წინააღმდეგ აქამდის არავითარი საშუალება, გარდა ამერიკულის ვაზისა, არავის აღმოუჩენია. ამერიკული ვაზი, რომელსაც ფილოქსერა ვერაფერს აკლებს და ძლიერ კარგს მოსავალსაც იძლევა კარგად დამუშავებულს ნიადაგზე, შემდეგის ჯიშისაა: რუპესტრის, რიპარია, და მათი გიბრიდები. ამათი სიავ-კარგე უკვე გამოცდილია საქარის სანერგეში. მაგრამ, როგორც ბ-ნი მდივანი შენიშნავს „ცნობის ფურცლის" მე-2415 ნომერში, „ეს ზევით მოხსენებული საძირე ვაზებიც „ხმებიანო", მხოლოდ კი არ გვიჩვენებს მაგალითს. ამ გვარი შემთხვევა რაც ხანი ახალ ნაირი ვენახის მუშაობა სწარმოებს იმერეთში, მე არსად შემიმჩნევია. არ მინახავს, რომ ვისმეს საბოლოოდ მოსპობოდეს ვენახი საძირე ვაზის მიზეზით. მხოლოდ ამ ბოლო დროს ამ ვენახების მუშაობა ძლიერ გადაამახინჯეს და კომერციული ხასიათი მიიღო ვენახების დამყნა-გაყიდვამ. მაგალითად, ბევრი აკეთებს ნამყენს, მერე ჰყიდის და იმას-კი არ დაეძებს, რა ღირსების ვაზი მიაწოდოს მყიდველებს. თუ ზედა ვაზი კარგა შეთვისებული არ იქნა, ამერიკულ ვაზის რქაზე ამნაირი ნამყენი არ ვარგა დასარგავად და შეიძლება ცუდი ბოლო მოჰყვეს. მეორე—ვისაცა აქვს ნამყენი ვენახები 2—3 წლისა, იმას უტოვებენ გასხვლის დროს 3—4 მოსახვევს, ესე იგი, მისამმეც რქას, თვითოულ რქაზე 12—16 სანამყოფო კვირტით. რასაკვირველია, ვაზს ბევრი მუშაობა საჭირდება ერთსა და იმავე დროს ვაზისა და ყურძნის დასამწიფებლად. ამ გვარად გასხლული ვენახები თითქმის ვერც-კი ამწიფებენ რიგზე ყურძენს და თავიანთ რქებს და ამ ვაზის ძირები მომავალ წლებისთვის სუსტდება. მესამე: დამყნილ ვენახების პატრონები არ იშლიან თავიანთ ძველებურ ჩვეულებას: დამყნილ ვენახებიდან გადააქვთ მოუწრელად, ესე იგი, როგორც ადგილობრივ ეძახიან „გადაწიდნვას", აკეთებენ ერთ ძირიდან რამოდენიმე ძირს; ისინი იკეთებენ ფესოებს, მაგრამ ამერიკულ ვაზის ძალა-კი ეკარგებათ. ამიტომ ადვილად შეიძლება, ფილოქსერისაგან გახმეს. ამ გვარი რამ ბევრგან შემინიშნავს ქუთაისის გუბერნიაში. ამ შემთხვევაში შეიძლება ცუდი ბოლო მოჰყვეს დამყნილ ვენახებს და საძირე ამერიკულ ვაზებს კი ბრალი დაედოს.

ვ. ჯაფარიძე

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 მარტი

პეტერბურგი. 19 მარტს შორეულ-აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

ხელმწიფე-იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და ბრძანა, ფლოტის გემების სიიდან ამოშალონ ბრძოლაში დაღუპული პირველ რანგის კრეისერი „ვარიაგ"-ი, საკანონერო ნავი „კორეეც"-ი, ნაღმიანი გემი „სტერეგუშჩი" და დაღუპული ტრანსპორტი „ენისეი".

ფოსტა-ტელეგრაფის მთავარი სამმართველო აცხადებს, რომ შორეულ აღმოსავლეთში მყოფ ჯარის კაცთა სახელობაზე უფასოთ წერილების გაგზავნა შეეძლებათ აგრეთვე საზღვაო უწყებაში მოსამსახურე ჯარის კაცთაც. წერილები უნდა გაიგზავნოს დიდ ოკეანეს ესკადრაში და ზედ აღნიშნული უნდა იყოს გემის სახელი, რომელზედაც მსახურებს წერილის მიმღები, ან არა და საზღვაო უწყების ის დაწესებულება, სადაც წერილის მიმღები მსახურებს და ზედ გამოცხადებული უნდა იყოს სახელი, მამის სახელი, გვარი იმისი და თანამდებობა.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.") იაპონიაში მცხოვრებმა ამერიკელებმა შეადგინეს ფონდი იაპონელ ჯარის-კაცთა და მეზღვაურთა გაჭირვებულ ცოლ-შვილთა დასახმარებლად. ხელის მოწერით დაუყოვნებლივ შეჰკრიბეს 75 ათასი იენი. ვითომ მთელ ამერიკაშიაც ხელის მოწერა გაუმართავთ.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

18 მარტი

პორტ-არტური. დღეს დილას აქ მოვიდა ნამესტნიკი ალექსეევი საზღვაო შტაბის უფროსისა და ადიუტანტების თანხლებით. ნამესტნიკს დიდის ამბით მიეგებნენ ადმირალი მაკაროვი, გენერალი სტესელი და სმირნოვი და ყველა მოხელენი. ნამესტნიკმა დაათვალიერა გემები „პეტრეპავლოვსკ", „პალადა", „რეტვიზან"-ი და „ცესარევიჩ"-ი. გუშინ დიდის ამბით დაასაფლავეს ინჟენერ-მეხანიკი ზვერიოვი და 7 მეზღვაური, რომელნიც ნაღმიან გემ „სილნი"-ზე დაიღუპნენ უკანასკნელ ბრძოლის დროს. აქ მშვიდობიანობაა. თფილი დღეები დადგა.

სეული. კორეის იმპერატორს აზრად აქვს, საგანგებო დესპანი გაგზავნოს ტოკიოს და საჩუქრები გაუგზავნოს მიკადოს. იმედი აქვთ, რომ ასეთი თავაზიანობით განმტკიცდება მეგობრული დამოკიდებულება ორსავე სახელმწიფოს შორის.

ტოკიო. 6 აპრილს სამხედრო კორესპონდენტები იაპონიის სახელმწიფო გემით ჩემულპოს მიდიან. შემდეგ სად წავლენ, არავინ იცის. იაპონიის მთავრობამ მადლობა გამოუცხადა ინგლისს იმისთვის, რომ იაპონიის ჯარის მოქმედებისთვის თვალ-ყურის გდება მიანდო გამოჩენილ გენერლებს ნიკოლსონსა და ჰამილტონს.

ლონდონი. აქაურ გაზეთებს ატყობინებენ იაპონიიდან ვითომც პორტ-არტურის ესკადრა თავს ანებებს მოგერებით ტაქტიკას და ცდილობს თვითონ დაიწყოს იაპონიის ფლოტზე თავდასხმა.

როგორც „დეილი ტელეგრაფი" ამბობს, ადმირალ მაკაროვის ესკადრამ დაპლუპა სანაპირო გემი „განუკიმარა" 150 ტონისა.

„დეილი ექსპრეს"-ს დეპეშით ატყობინებენ ვეი-ჰაი-ვეიდან, იაპონელების დაღუპული გემი, მსწრაფლ-მავალი საფოსტო გემი „ოსაკა" არისო. ცუდი დარები კორეიაში აფერხებს იაპონიის ჯარის მოძრაობას, ამის გამო ჯარის გადაყვან-გადმოყვანას ორის კვირის შემდეგ დაიწყებენ.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 მარტი

მოსკოვი. 18 მარტს რუსეთის ისტორიისა და სიძველეთა საიმპერატორო საზოგადოებამ იდღესასწაულა ასის წლის იუბილეი.

კრონშტადტი. რეველიდან მოვიდა ყინულის მჭრელი „ერმაკ" და დაიწყო ყინულის ჭრა ნავთსადგურის შუაგულსა და პატარა რეიდში. „ერმაკ" მალე პეტერბურგს წავა.

ბუენოს-აირესი. 18 მარტს მთავრობის ჯარმა რივერა დაიჭირა. მეამბოხენი აღმოსავლეთისაკენ გაიქცნენ.

ლონდონი. ინგლისის საადმირალომ გადასწყვიტა, შემოიღოს ფლოტის გემებზე მარკონის სისტემის ტელეგრაფი.

სოფია (სპეციალური). სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, სტამბოლიდან მოსული ცნობები მეამბოხეთა რაზმების მოქმედების შესახებ ტყუილია. ამ ხმებს ავრცელებენ იმ აზრით, რომ დაფარონ ის ძალმომრეობა, რომელსაც ოსმალები სჩადიან. კუმანოვის ოლქის სოფელ ცინაზე 60 ასკერმა პორუჩიკის ალის უფროსობით იერიში მიიტანეს.

ბელგრადი. „პრავიტ. გაზ."-ში გამოქვეყნებულია: სამსახურიდან პენსიით დაითხოვეს 12 აფიცერი, ამათ შორის მიშიჩი, ისაკოვიჩი, მილიჩევიჩი და ლუკიჩი.

სტამბოლი. ბერძენმა ვასილ ხრისტომანოსმა ორჯერ ესროლა რევოლვერი სტრუმნიცაში ბოლგარიის მიტროპოლიტს გერასიმეს, მაგრამ ვერ მოახვედრა. დამნაშავე შეიპყრეს.

ბერლინი. ტყუილია ის ცნობა, ვითომ იმპერატორი ვილჰელმი აბაცში შეჩერებულიყოს იმპერატორ ფრანც-იოსების სანახავად.

პარიზი. გაზეთ „პტი ჟურნალ"-ს ატყობინებენ ლონდონიდან: პორტამ საყვედური განუცხადა ინგლისსა და საფრანგეთს იმის თაობაზე, რომ ამ ორს სახელმწიფოს შორის ვითომ შეთანხმება მომხდარიყოს ეგვიპტის თაობაზე პორტას შეუკითხავად. ასეთი პროტესტი ქედივსაც გაუგზავნია.

მოსკოვი. რუსეთის ისტორიისა და სიძველეთა საზოგადოებას შემდეგი დეპეშა მოუვიდა ხელმწიფე იმპერატორისაგან: **„რუსეთის ისტორიის და სიძველეთა საიმპერატორო საზოგადოების ასის წლის იუბილეის დღეს სასიამოვნოდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ საზოგადოების მოღვაწეობამ ძვირფასი განძი შესძინა ისტორიულ მეცნიერებას, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ერის თვითცნობიერების განვითარებისათვის. ვუგზავნი სალამს საზოგადოებასა და გულით ვუსურვებ გაძლიერებას მეცნიერების სასარგებლოდა და სამშობლოს საკეთილდღეოდ. ნიკოლოოზ".**

კალკუტა. საბჭოს სხდომაზე ვიცე-კოროლმა განაცხადა, რომ ინდოეთი თავის ადგილმდებარეობით ნამდვილ ციხეს წარმოადგენს; მთებს იქით გაჭიმულია ბუნებრივი სიმაგრე. „ჩვენ არა გვსურს დავიჭიროთ ეს ბუნებისაგან აგებული სიმაგრე, მაგრამ ამდროს ნებას ვერ ძივცემთ, რომ იგი ჩვენმა მტერმა დაიჭიროს. როდესაც ამ ადგილებში ჩვენდა საზარალოდ მოქმედებენ, იძულებულნი ვართ ვიმოქმედოთ იმათ მიმართ; წინააღმდეგ შემთხვევაში შიში მოგველის. აი ესაა მთელი საიდუმლო საქმის ვითარებისა არაბეთსა, სპარსეთსა, ტიბეტსა და სიამში".

სტამბოლი. მქადან დაბრუნებულ მლოცველ თავს დასხმიან ბედუინები [illegible] დასხ ცნიათ. ამბობენ, 4.000 კაცამდეა მ კლულიო. მლოცველთ უმეტესობას სპარს ბი და ინდოელები შეადგენდნენ. მი ზი ამოწყვეტისა ის ყოფილა, რომ მლ ცველთ შეძლება არ ჰქონდათ ბედუინების გ ხებისათვის ხარკი მიეცათ მათ სამფლობელო გავლისათვის.

სოფია. სტამბულდთვის მკვლელს ხა დღეს გადაუწყვიტეს 15 წლით საპყრობილე დაპატიმრება.

19 მარტი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ."-ში გამ ხადებულია იუსტიციის მინისტრის უქვეშევრდ მალესი მოხსენება „ნეცშელის საქმის გა სამედიატორო სამართლის შესახებ, რომელ ჰააგაში მოხდა 1903 –1904 წლებში.

პეტერბურგის ბირჟა, 16 მარტი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,65
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,62$^1/$
ბირჟის დისკონტი	6-7$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	9[illegible]$^1/_8$ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4$^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	91$^3/_8$ მყ
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	369$^1/_2$ გაყ
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	311 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	269$^1/_2$ „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	87$^1/_2$ „
4$^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	88$^1/_8$ „
4 2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	186 „

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარ

განცხადებანი

სასტუმრო **იალტა** ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ი მჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, პი არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმე ლებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით პიქა არაყით, $^1/_2$-ბოთ. ღვინით და ფინჯანი 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თ რათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ.

(88—52—13)

ქირით იძლევა

ორი დიდი პარგი საწყობი

საჯინიბოთი

„ფრანცია"-ს ნომრების ეზოში. იკით ამ ნომრების კანტორაში. (3—98—2)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.



საათის საწყობი

იულიუს გენესი

ტფილისი, დვორცოვი ქუჩა.

მივიღეთ მრავალი საათი—კედლისა და სტოლის ყოველთვის მრავლადა გვაქვს ყოველგვარი საათ ჯიბისა შვეიცარიის საუკეთესო ქარხნებისა. საწყობი ჰკი რულობს აგრეთვე საათების შეკეთებას, რაიცა სწრაფ და პირიანად სრულდება. ფასი ყველა საქონელზე ზ მიერია.

პრეის-კურანტი მოთხოვნილებისათანავე მსურველს უ სყიდლოდ ეგზავნება. (25—6.—2)

ტელეფონი № 741 დაარსების მიზანი ტელეფონი № 741

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

იყო და არის

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ ი ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამ აყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ საზრებით, რომ საქონელი გააიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსა** **ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების" ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ Фармацевтика. (0—99)

Доз. ценз. Тифлисъ 19 марта 1904 г ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა (Электропеч. Груз. Издат Т—ва.